

სსბასს 2—ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
გამომცემლისაგან

წინამდებარე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (სსბასს) ძირითადად ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 7–ს, ფულადი ნაკადების ანგარიშგება. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (სსბასსს) ამ გამოცემაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ფონდის ნებართვით, გამოყენებულია ამონარიდები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 7-დან.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს ბასსს-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი, რომლის ასლები შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს უშუალოდ ფასს-ის საგამომცემლო დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: First Floor, 30 Cannon Street, London EC4M 6XH, United Kingdom.

ელ.ფოსტა: publications@ifrs.org

ვებ-გვერდი: www.ifrs.org

ფასს-ები, ბასს-ები, განსახილველი პროექტები და ბასსს-ის სხვა გამოცემები დაცულია ფასს-ის ფონდის საავტორო უფლებით.

“IFRS,” “IAS,” “IASB,” “IFRS Foundation,” “International Accounting Standards,” და “International Financial Reporting Standards” ფასს-ების ფონდის სავაჭრო ნიშნებია და არ უნდა იქნეს გამოყენებული, ფასს-ების ფონდის თანხმობის გარეშე.

სსბასს 2—ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

სსბასს-ს ისტორია

წინამდებარე ვერსია მოიცავს 2018 წლის 31 იანვრამდე გამოცემული სსბასს-ებით გამოწვეულ ცვლილებებს.

სსბასს 2, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, გამოქვეყნდა 2000 წლის მაისში.

მას შემდეგ სსბასს 2-მა განიცადა შემდეგი ცვლილებები:

- გამოყენებადობა სსბასს-ის (2016 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს 37, ერთობლივი შეთანხმება (2015 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს 35, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (2015 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს 33, დარიცხვის საფუძველზე საერთაშორისო საჯარო სექტორის აღრიცხვის სტანდარტების პირველად მიღება (2015 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს 3, სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (2006 წლის დეკემბრის გამოცემა)
- სსბასს 4, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები (2006 წლის დეკემბრის გამოცემა)
- გადამუშავებული სსბასს-ები (2010 წლის იანვრის გამოცემა)
- გადამუშავებული სსბასს-ები (2010 წლის ნოემბრის გამოცემა)

სსბასს 2-ში შეცვლილი პუნქტების ცხრილი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
3	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
4	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება,

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
		2016 წლის აპრილი
8	შეცვლილია	სსბასს 35, 2015 წლის იანვარი
16	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
22	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი
25	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის ნოემბერი
27	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის ნოემბერი
30	შეცვლილია	სსბასს 35, 2015 წლის იანვარი სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის ნოემბერი
36	შეცვლილია	სსბასს 4, 2006 წლის დეკემბერი
37	შეცვლილია	სსბასს 4, 2006 წლის დეკემბერი
40 ¹	ამოღებულია	სსბასს 3, 2006 წლის დეკემბერი

¹ შესაბამისი პუნქტები გადაინომრა.

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
		სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის ნოემბერი
41	ამოღებულია	სსბასს 3, 2006 წლის დეკემბერი
42	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის ნოემბერი
43	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის ნოემბერი
47	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი სსბასს--ების გაუმჯობესება, 2010 წლის ნოემბერი
48	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
50ა	დამატებულია	სსბასს 35, 2015 წლის იანვარი
52ა	დამატებულია	სსბასს 35, 2015 წლის იანვარი
52ბ	დამატებულია	სსბასს 35, 2015 წლის იანვარი
61	შეცვლილია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი
63ა	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
63ბ	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის ნოემბერი
63გ	დამატებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
63დ	დამატებულია	სსბასს 37, 2015 წლის იანვარი სსბასს 35, 2015 წლის იანვარი
63ე	დამატებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
64	შეცვლილია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
სმ	შეცვლილია	სსბასს 3, 2006 წლის დეკემბერი

სსპსს 2—ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

შინაარსი

	პუნქტი
მიზანი	
მოქმედების სფერო	1–4
ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაციის სარგებლიანობა.....	5–7
განმარტებები	8–17
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	9–11
ეკონომიკური ერთეული.....	12–14
მომავალი ეკონომიკური სარგებელი და მომსახურების პოტენციალი.....	15
სახელმწიფო კომერციული საწარმოები	16
წმინდა აქტივები/კაპიტალი.....	17
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წარდგენა.....	18–26
საოპერაციო საქმიანობა.....	21–24
საინვესტიციო საქმიანობა.....	25
საფინანსო საქმიანობა.....	26
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადების წარდგენა.....	27–30
საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადების წარდგენა.....	31
ფულადი სახსრების ნაკადების წარდგენა ნეტო მეთოდით	32–35
ფულადი სახსრების ნაკადები უცხოურ ვალუტაში	36–39
პროცენტები და დივიდენდები	40–43
წმინდა ნამეტზე გადასახადები	44–46
ინვესტიციები კონტროლირებულ ერთეულებში მეკავშირე ერთეულებში და ერთობლივ საქმიანობაში.....	47–48

შეძენები და გასვლები კონტროლირებული და სხვა საოპერაციო ერთეულების	49–53
არაფულადი ოპერაციები	54–55
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ელემენტები..	56–58
სხვა განმარტებითი შენიშვნები	59–62
ძალაში შესვლის თარიღი.....	63–64
საილუსტრაციო მაგალითები	
შედარება ბასს 7-თან	

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 2, ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ჩამოყალიბებულია მიზანსა და 1-64 პუნქტებში. ყველა პუნქტს გააჩნია თანაბარი ძალა. სსბასს 2 უნდა აღქმულ იქნეს მისი მიზნის, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობის და საჯარო სექტორის ერთეულებისთვის ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების კონტექსტში. დეტალური მითითებების არარსებობის შემთხვევაში სსბასს 3, სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევის და გამოყენების საფუძველია.

მიზანი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება განსაზღვრავს (ა) ფულადი სახსრების შემოდინების წყაროებს, (ბ) მუხლებს, რომლებზეც მოხდა ფულადი სახსრების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში (გ) ფულადი სახსრების სალდოს საანგარიშო დღისათვის. ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაცია სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის, როგორც ანგარიშგების, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის. ინფორმაცია ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ საშუალებას აძლევს მის მომხმარებლებს დაადგინონ თუ როგორ გამოიმუშავა საჯარო სექტორის ერთეულმა მისი საქმიანობის დაფინანსებისათვის საჭირო ფულადი სახსრები და როგორ მოხდა ამ სახსრების გამოყენება. რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისა და შეფასებისათვის ერთეულის საქმიანობის საიმედოობის თვალსაზრისით, მომხმარებლებს სჭირდებათ ფულადი სახსრების ნაკადების გამოყენების დროულობის და მათი საიმედოობის შეფასება. ამ სტანდარტის მიზანია ერთეულის ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტების წარსულში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ფულადი სახსრების ანგარიშგების მეშვეობით, რომელიც კლასიფიცირებულია საანგარიშო პერიოდში საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების სახით.

მოქმედების სფერო

1. ერთეულმა, რომელიც ამზადებს და წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, უნდა მოამზადოს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ამ სტანდარტის შესაბამისად და წარმოადგინოს იგი ფინანსური ანგარიშგების ნაწილად ყველა იმ პერიოდისათვის, რომლისთვისაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება.
2. ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო იყოს ერთეულის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის (ა) ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადების შეფასებისას, (ბ) ერთეულის კანონმდებლობასთან და საკანონმდებლო აქტებთან (საჭიროების შემთხვევაში, დამტკიცებულ ბიუჯეტებთან) შესაბამისობის შეფასებისას და

(გ) გადაწყვეტილებების მისაღებად რესურსების გამოყოფაზე ან შეთანხმების დადებაზე ამ ერთეულთან. ისინი ძირითადად ინტერესდებიან იმით, თუ ერთეული როგორ გამოიმუშავებს და იყენებს ფულად რესურსებს და ფულადის სახსრების ეკვივალენტს. აღნიშნული მოქმედებს ერთეულის საქმიანობის სახეობის მიუხედავად და მაშინ, როდესაც მისი ფულადი სახსრები შეიძლება წარმოადგენდნენ ამ საქმიანობის შედეგს, როგორც ეს ხდება საჯარო ფინანსური დაწესებულების შემთხვევაში. ერთეულებს ფულადი სახსრები ესაჭიროებათ ერთი და იგივე მიზეზით, რაც არ უნდა განსხვავებული იყოს მათი ძირითადი შემოსავლების წარმოქმნელი საქმიანობები. მათ ესაჭიროებათ ფულადი სახსრები, რომ დაფარონ მათ მიერ მოხმარებული საქონლისა და მომსახურების ხარჯები, ვალის მომსახურების ხარჯები და ზოგიერთ შემთხვევაში, შეამცირონ ძირითადი ვალის მოცულობა. შესაბამისად, მოცემული სტანდარტი მოითხოვს ყველა ერთეულისგან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წარდგენას.

3. [ამოღებულია]

4. [ამოღებულია]

ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაციის სარგებლიანობა

5. ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაცია სასარგებლოა იმისათვის, რომ ინფორმაციის მომხმარებლებმა მოახდინონ შემდეგი პროგნოზირება (ა) ერთეულისათვის მომავალში საჭირო ფულადი სახსრების, (ბ) ერთეულის შესაძლებლობის მომავალში გამოიმუშაოს ფულადი სახსრები, (გ) ერთეულის შესაძლებლობის დააფინანსოს მისი საქმიანობის სფეროში და სახეობაში მომხდარი ცვლილებები. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება აგრეთვე იძლევა საშუალებას ერთეულმა მოახდინოს ანგარიშგება ფულადი სახსრების შემოდინებაზე და გადინებაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.
6. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, რომელიც გამოყენებულია სხვა ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მომხმარებლებს აძლევს საშუალებას შეაფასონ ერთეულის წმინდა აქტივებში/კაპიტალში განხორციელებული ცვლილებები, მისი ფინანსური სტრუქტურა (ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ჩათვლით), ასევე, შეაფასონ ფულადი სახსრების ნაკადების მოცულობაზე და დროში გადანაწილებაზე ერთეულის გავლენის უნარი, რათა შესაბამისი ადაპტაცია მოახდინონ ცვალებადი გარემოებებისა და შესაძლებლობების წარმოქმნისას.. ფულადი სახსრების

მომრავობის ანგარიშგება აგრეთვე აუმჯობესებს სხვადასხვა ერთეულების ოპერაციული საქმიანობის შესადარისობას, ვინაიდან გამორიცხავს განსხვავებული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას ერთი და იგივე ოპერაციების და სხვა მოვლენების აღრიცხვისას.

7. წარსული მონაცემები ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ხშირად გამოყენებულია თანხის, დროის და მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების განსაზღვრულობის ინდიკატორად. იგი აგრეთვე სასარგებლოა წარსული შეფასებების აკურატულობის და მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზირებისას.

ტერმინთა განმარტებები

8. წინამდებარე სტანდარტში ტერმინები გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით:

ფულადი სახსრები მოიცავენ ფულს და მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ფულადი სახსრების წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფულადი სახსრების ნაკადები წარმოადგენენ ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემოდინებას და გადინებას.

კონტროლი წარმოადგენს სხვა ერთეულის საქმიანობის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის მართვის შესაძლებლობას, მისგან სარგებლის მიღების მიზნით.

საფინანსო საქმიანობა არის ისეთი საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება ერთეულის კაპიტალში შენატანი და ნასესხები საშუალებები.

საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა და სხვა ინვესტიციების შექმნა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

საოპერაციო საქმიანობა წარმოადგენს საქმიანობას, რომელიც არ წარმოადგენს საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობას.

ანგარიშების თარიღი გულისხმობს საანგარიშო პერიოდის ბოლო დღის თარიღს, რომელსაც უკავშირდება ფინანსური ანგარიშგება.

სხვა სსბასს-ებში განსაზღვრული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მოცემულია სხვა სტანდარტებში და ცალკე გამოქვეყნებულ ტერმინთა განმარტებების გლოსარში.

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

9. ფულადი სახსრების ეკვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ფულად ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. იმისათვის, რომ ინვესტიცია კლასიფიცირდეს როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იგი ადვილად გაცვლადი უნდა იყოს წინასწარ ცნობილი ფულადი სახსრების მოცულობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი იყოს უმნიშვნელო. ამიტომ, როგორც წესი, ინვესტიცია კვალიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, თუ მას დაფარვის მოკლე ვადა გააჩნია, მაგალითად, შეძენის დღიდან სამი თვე ან უფრო ნაკლები. ინვესტიციები საკუთარ კაპიტალში არ მიეკუთვნება ფულადი სახსრების ეკვივალენტებს თუ ისინი თავისი არსით არ არიან ფულადი სახსრების ეკვივალენტები
10. როგორც წესი, საბანკო სესხები მიიჩნევა საფინანსო საქმიანობად. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში საბანკო ოვერდრაფტები მოთხოვნამდე გადახდის პირობით წარმოადგენს ერთეულის ფულადი სახსრების მართვის ინტეგრალურ ნაწილს. ამ სიტუაციაში, საბანკო ოვერდრაფტები განხილულია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების კომპონენტად. ამგვარი საბანკო შეთანხმებებისთვის დამახასიათებელია ბანკის ნაშთის ხშირი ცვლილება დადებითი სალდოდან ოვერდრაფტისკენ.
11. ფულადი სახსრების ნაკადებს არ მიეკუთვნება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მოძრაობა სხვადასხვა მუხლებს შორის, ვინაიდან ისინი არსებითად წარმოადგენენ ერთეულის ფულადი სახსრების მართვის ინსტრუმენტებს და არა მისი საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის ნაწილს. ფულადი სახსრების მართვა მოიცავს ჭარბი ფულადი სახსრების ინვესტირებას ფულადი სახსრების ეკვივალენტებში.

ეკონომიკური ერთეული

12. ტერმინი ეკონომიკური ერთეული გამოყენებულია მოცემულ სტანდარტში იმისათვის, რათა ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის განიმარტოს ერთეულების ჯგუფად, რომელშიც შედის მაკონტროლებელი ერთეული და კონტროლირებული ერთეულები.
13. ზოგჯერ ეკონომიკური ერთეულის აღსანიშნავად გამოიყენება სხვა ტერმინები, როგორცაა ადმინისტრაციული ერთეული, ფინანსური ერთეული, კონსოლიდირებული ერთეული და ჯგუფი.
14. ეკონომიკური ერთეული შეიძლება მოიცავდეს ერთეულებს როგორც კომერციული, აგრეთვე სოციალური მიზნებით. მაგალითად განსახლების საკითხებით დაკავებული სახელმწიფო უწყება შეიძლება იყოს ეკონომიკური ერთეული, მასში შემავალი ერთეულებით, რომლებიც საბინაო მომსახურებას უწევენ მომხმარებლებს ნომინალურ ფასებში და კომერციული ერთეულებით, რომლებიც იგივე სახის მომსახურებას ეწევიან კომერციულ ფასებში.

მომავალი ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალი

15. აქტივების მეშვეობით ერთეულები აღწევენ მათ მიერ დასახულ მიზნებს. აქტივები, რომელთა მეშვეობით ერთეულები ქმნიან საქონელს და მომსახურებას მათი მიზნების შესაბამისად, მაგრამ უშუალოდ არ გამოიმუშავებენ წმინდა ფულად შემოსავლებს, ხშირად იწოდება მომსახურების პოტენციალის მატარებლებად. აქტივები, რომელთა მეშვეობით ხდება წმინდა ფულადი სახსრების შემოდინების უზრუნველყოფა ხშირად იწოდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მატარებლებად. ყველა მოსალოდნელი მიზნის მოცვის მიზნით, რომლის მისაღწევად შეიძლება აქტივების გამოყენება, მოცემული სტანდარტი განიხილავს ტერმინს „მომსახურების პოტენციალი ან ეკონომიკური სარგებელი“, რომელიც აქტივების ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს.

სახელმწიფო კომერციული საწარმოები

16. [ამოღებულია]

წმინდა აქტივები/კაპიტალი

17. წმინდა აქტივები/კაპიტალი წარმოადგენს ამ სტანდარტში გამოყენებულ ტერმინს, რომელიც გამოიყენება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში (აქტივებს მინუს ვალდებულებები) ნარჩენი ღირებულების საზომის

აღსანიშნავად. წმინდა აქტივები/კაპიტალი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. წმინდა აქტივები/კაპიტალის ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა ტერმინები იმის გათვალისწინებით, რომ მათი მნიშვნელობა სრულიად ნათელია.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წარდგენა

18. **ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება უნდა ასახავდეს ფულადი სახსრების ნაკადების მოძრაობას მოცემული დროის მონაკვეთში საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების ჭრილში.**
19. ნებისმიერი ერთეული წარმოადგენს ფულადი სახსრების ნაკადების საკუთარ ანგარიშს საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო კუთხით, მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე. ინფორმაციის წარმოდგენა საქმიანობების მიხედვით მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეაფასონ ამ საქმიანობების ზეგავლენა ერთეულის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების რაოდენობა. ეს ინფორმაცია აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნას საქმიანობის ამ სახეებს შორის არსებული კავშირების შეფასებისათვის.
20. ცალკე აღებული ოპერაცია შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სახის ფულად სახსრების ნაკადებს. მაგალითად, სესხის დაფარვის დროს ფულადი სახსრების მეშვეობით, რომელიც მოიცავს პროცენტსაც და სესხის ძირითად ნაწილსაც, მასში პროცენტის ელემენტი შეიძლება ჩაითვალოს საოპერაციო საქმიანობად, ხოლო ძირითადი ნაწილის დაფარვა - საფინანსო საქმიანობად.

საოპერაციო საქმიანობა

21. ერთეულის წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან წარმოადგენს საკვანძო მაჩვენებელს ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის მასშტაბის დასადგენად, რომლებიც მიღებულია:
 - (ა) გადასახადებიდან (პირდაპირ ან არაპირდაპირ); ან
 - (ბ) ერთეულის მიერ მიწოდებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისგან.

წმინდა ფულადი სახსრების მოცულობა აგრეთვე გვიჩვენებს ერთეულის უნარს შეინარჩუნოს ფუნქციონირების შესაძლებლობა, მოახდინოს ვალდებულებების გასტუმრება,

დივიდენდების ან ანალოგიური გადახდების განაწილება და განახორციელოს ინვესტიციები დაფინანსების გარე წყაროების გამოყენების გარეშე. სახელმწიფოს მთლიანი კონსოლიდირებული საოპერაციო ფულადი ნაკადები აჩვენებს სახელმწიფოს მიერ მისი მიმდინარე საქმიანობის დაფინანსების მოცულობას გადასახადების და შემოსულობების მეშვეობით. ინფორმაცია წარსული საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შესახებ სასარგებლოა სხვა ინფორმაციასთან ერთად, მომავალი საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის.

22. საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადები დაკავშირებულია ერთეულის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრებთან. საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების მაგალითებს წარმოადგენს:
- (ა) ფულადი შემოსულობები გადასახადებიდან, მოსაკრებლებიდან და ჯარიმებიდან;
 - (ბ) ფულადი შემოსულობები ერთეულის მიერ საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან;
 - (გ) ფულადი შემოსულობები გრანტებიდან ან ტრანსფერებიდან და სხვა ასიგნებებიდან ან საბიუჯეტო უფლებამოსილებებიდან, რომლებიც ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების ან საჯარო სექტორის სხვა ერთეულების მიერ;
 - (დ) ფულადი შემოსულობები როიალტიდან, ჰონორარებიდან, საკომისიო და სხვა სახის შემოსავლებიდან;
 - (ე) ფულადი გადახდები საჯარო სექტორის სხვა ერთეულების მიმართ მათი ოპერაციების დაფინანსებისთვის (სესხების გარდა);
 - (ვ) ფულადი გადახდები საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის;
 - (ზ) თანამშრომლებისათვის და მათი სახელით ფულადი გადახდები;
 - (თ) ფულადი შემოსულობები და გადახდები სადაზღვევო ერთეულის მიერ სადაზღვევო პრემიების და მოთხოვნების სახით, ანუიტეტები და სხვა სადაზღვევო სარგებელი;

- (ი) ადგილობრივი ქონების გადასახადის ან მოგების გადასახადის (თუ ასეთი არსებობს) შედეგად წარმოქმნილი ფულადი გადახდები, რომლებიც დაკავშირებულია საოპერაციო საქმიანობასთან;
- (კ) ფულადი შემოსულობები და გადახდები წარმოქმნილი ხელშეკრულებებიდან, რომლებიც დადებულია სადილერო ან სავაჭრო მიზნებით;
- (ლ) ფულადი შემოსულობები ან გადახდები, დაკავშირებული საქმიანობის შეწყვეტასთან; და
- (მ) ფულადი შემოსულობები ან გადახდები, დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტასთან.

ზოგიერთმა ოპერაციამ, რომელიც მაგალითად დაკავშირებულია ძირითადი აქტივების ერთეულის გაყიდვასთან, შეიძლება გამოიწვიოს მოგება ან ზარალი, რომელიც ასახულია მოგების ან ზარალის გაანგარიშებაში. ფულადი სახსრების ნაკადები, დაკავშირებული ამ ოპერაციებთან, წარმოადგენს საინვესტიციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადებს. თუმცა, ფულადი ხარჯები გაწეული მშენებლობისთვის ან აქტივების შეძენა სხვა პირებისთვის მათი იჯარით გაცემის მიზნით და შემდეგ მათი გაყიდვის მიზნით, როგორც ეს გადმოცემულია სსსსსს 17-ს - ძირითადი აქტივები 83ა პუნქტში, განიხილება როგორც ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან.

- 23. ერთეული შეიძლება იყოს ფასიანი ქაღალდების და კრედიტების მფლობელი სადილერო ან სავაჭრო მიზნებით, რაც ამ შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მარაგები შეძენილი შემდგომი გაყიდვის მიზნით. ამიტომ, ამგვარი ფასიანი ქაღალდების შეძენის ან გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადები მიეკუთვნება საოპერაციო საქმიანობას. ანალოგიურად, ფულადი ავანსები და სესხები გაცემული საჯარო ფინანსური ინსტიტუტების მიერ, ჩვეულებრივ განიხილება საოპერაციო საქმიანობად, ვინაიდან მიეკუთვნება ამ ერთეულის ფულადი სახსრების წარმოქმნის ძირითად წყაროს.
- 24. ზოგიერთ იურისდიქციაში მთავრობები ან სხვა საჯარო სექტორის ერთეულები გამოყოფენ სახსრებს რომელიმე ერთეულის საქმიანობის დაფინანსებისათვის, მაგრამ არ ხდება ამ სახსრების ნათლად გამიჯვნა მიმდინარე, კაპიტალურ და კაპიტალში შენატანის მიხედვით. როდესაც ერთეული ვერ

ახდენს საბიუჯეტო ასიგნებების ცალკე გამიჯვნას მიმდინარე, კაპიტალურ და კაპიტალში შენატანს შორის, მან მოცემული ასიგნება უნდა განიხილოს, როგორც საოპერაციო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადების ნაწილი და ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების ნაწილში.

საინვესტიციო საქმიანობა

25. საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების ნაკადების ცალკე წარმოდგენა მნიშვნელოვანია, ვინაიდან გვიჩვენებს თუ ფულადი სახსრების რა მოცულობა იყო მიმართული იმ რესურსებში, რომლებიც მომავალში ხელს შეუწყობს ერთეულის მიერ მომსახურების გაწევას. საინვესტიციო საქმიანობად ჩაითვლება მხოლოდ ის ფულადი გადინება, რომელიც აღიარებულ იქნა აქტივად ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

- (ა) ძირითადი აქტივების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად ფულადი გადახდები. ამაში აგრეთვე შედის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები და საკუთარი წარმოების ძირითადი აქტივები;
- (ბ) ძირითადი აქტივების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი შემოსულობები;
- (გ) სხვა ერთეულების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტების შეძენის მიზნით და ერთობლივ საქმიანობაში წილობრივი მონაწილეობის მიზნით (გარდა გადახდებისა ფულად ეკვივალენტებთან გათანაბრებული ინსტრუმენტებისათვის ან სადილერო/სავაჭრო ინსტრუმენტებისათვის) ფულადი გადახდები;
- (დ) ფულადი შემოსულობები სხვა ერთეულების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტების და ერთობლივი საქმიანობის წილების რეალიზაციიდან (გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც განიხილება ფულად ეკვივალენტებად და სადილერო ან სავაჭრო ინსტრუმენტებად);

- (ე) ფულადი ავანსები და სესხები გაცემული სხვა პირებზე (გარდა საჯარო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული ავანსებისა და სესხებისა);
- (ვ) სხვა პირებზე გაცემული ავანსების და სესხების დაფარვის შედეგად მიღებული ფულადი შემოსულობები (გარდა საჯარო საფინანსო ინსტიტუტებზე გაცემული ავანსებისა და სესხებისა);
- (ზ) ფულადი გადახდები ფიუჩერულ კონტრაქტებზე, ფორვარდულ კონტრაქტებზე, ოფციურ კონტრაქტებზე და სვოპ კონტრაქტებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონტრაქტები იდება სადილერო და სავაჭრო მიზნებით ან გადახდები განიხილება, როგორც საფინანსო საქმიანობა; და
- (თ) ფულადი შემოსულობები ფიუჩერული კონტრაქტებიდან, ფორვარდული კონტრაქტებიდან, ოფციური კონტრაქტებიდან და სვოპ კონტრაქტებიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონტრაქტები იდება სადილერო და სავაჭრო მიზნებით დადებული კონტრაქტებისა ან შემოსულობები განიხილება, როგორც საფინანსო საქმიანობა.

როდესაც კონტრაქტი განიხილება გარკვეული მუხლის ჰეჯირების ინსტრუმენტად, თვით კონტრაქტის ფულადი სახსრების ნაკადები განიხილება ჰეჯირებულ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაკადების ანალოგიურად.

საფინანსო საქმიანობა

26. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადების ცალკე წარმოდგენა მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი საჭიროა ერთეულის კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეთა მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ მოთხოვნებზე სათანადო პროგნოზის გასაკეთებლად. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადების მაგალითებს წარმოადგენენ:
- (ა) ფულადი შემოსავლები მიღებული სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან, სესხებიდან, თამასუქებიდან, ობლიგაციებიდან, გირაოებიდან და სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხებიდან;
 - (ბ) სესხების დასაფარად გამოყოფილი ფულადი სახსრები; და

- (გ) მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარის ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადების წარდგენა

27. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადები ერთეულმა უნდა წარმოადგინოს:

- (ა) პირდაპირი მეთოდით, რომელშიც მოცემულია ფულადი შემოსულობების და გადახდების მთლიანი ნაკადები; ან
- (ბ) არაპირდაპირი მეთოდით, რომლის მიხედვითაც ნამეტი ან დეფიციტი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების შედეგებით, წარსული და მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსულობების და გადახდების გადავადების ან დარიცხვის გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადებთან.

28. ერთეულებს ეძლევათ რეკომენდაცია წარმოადგინონ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან პირდაპირი მეთოდის გამოყენებით. პირდაპირი მეთოდი იძლევა ისეთ ინფორმაციას, რომელიც (ა) სასარგებლოა მომავალი ფულადი ნაკადების შესაფასებლად, და (ბ) არაპირდაპირი მეთოდის მეშვეობით მიუწვდომელია. პირდაპირი მეთოდის მიხედვით, ინფორმაცია მთლიანად მიღებული ან მთლიანად გაცემული ფულადი სახსრების ძირითადი მუხლების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს

- (ა) ერთეულის ბუღალტრული წიგნებიდან; ან
- (ბ) საოპერაციო შემოსავლების კორექტირებით, საოპერაციო ხარჯების კორექტირებით (საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და საპროცენტო და მსგავსი ხარჯი სახელმწიფო ფინანსური ინსტიტუტებისთვის), და ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების სხვა მუხლების კორექტირების საფუძველზე, შემდეგის გათვალისწინებით:
 - (1) საანგარიშგებო პერიოდში მატერიალურ მარაგებსა და საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ მოთხოვნებსა და ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები;

(2) სხვა არაფულადი მუხლები; და

(3) სხვა მუხლები, რომლებიც გვიჩვენებს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულადი სახსრების ნაკადებს.

29. ერთეულებს, რომლებიც იყენებენ პირდაპირ მეთოდს საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების ანგარიშგების დროს, საოპერაციო საქმიანობის წმინდა ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშთან ერთად, რეკომენდაცია ეძლევათ აგრეთვე წარმოადგინონ საოპერაციო საქმიანობის ნამეტის/დეფიციტის შეჯერებული ანგარიში. ეს შეჯერება შეიძლება აისახოს, როგორც ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების ნაწილში.

30. არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები განისაზღვრება ჩვეულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ნამეტის და დეფიციტის კორექტირებით შემდეგ მუხლებზე დაყრდნობით:

(ა) საანგარიშო პერიოდში მატერიალურ მარაგებსა და საოპერაციო მოთხოვნებსა და ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები;

(ბ) არაფულადი მუხლები, როგორცაა ცვეთა, ანარიცხები, გადავადებული გადასახადები, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებით მიღებული არარეალიზებული მოგება და ზარალი, მეკავშირე ერთეულების გაუნაწილებელი მოგება და უმცირესობის ინტერესი; და

(გ) ყველა სხვა მუხლები, რომლებიც გვიჩვენებს საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს.

(დ) [ამოღებულია]

საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული
ფულადი სახსრების ნაკადების წარდგენა

31. ერთეულმა ცალ-ცალკე უნდა წარმოადგინოს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი შემოსულობების და გადახდების მთლიანი ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით, გარდა ნეტო საფუძველზე წარდგენილი ფულადი სახსრების ნაკადებისა, რომელიც აღწერილია 32-ე და 35-ე პუნქტებში.

ფულადი სახსრების ნაკადების წარდგენა ნეტო მეთოდით

32. საოპერაციო, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი შემდეგი ფულადი სახსრების ნაკადები შეიძლება წარდგენილ იქნეს ნეტო საფუძველზე:

(ა) კლიენტების, გადასახადის გადამხდელების ან ბენეფიციარების სახელით ფულადი შემოსულობები და გადახდები, როდესაც ფულადი სახსრების ნაკადები ასახავს უფრო მეტად სხვა პირების, ვიდრე ერთეულების საქმიანობას; და

(ბ) ფულადი შემოსულობები და გადახდები იმ მუხლების მიხედვით, რომელთათვის დამახასიათებელია სწრაფი ბრუნვა, თანხების დიდი ოდენობა და განაღდების მოკლე ვადები.

33. პუნქტი 32(ა) ასახავს მხოლოდ იმ ოპერაციებს, რომელთა შედეგად მიღებული ფულადი სახსრების ნაშთები კონტროლდება ანგარიშვალდებული ერთეულების მიერ. ამგვარი ფულადი შემოსულობების და გადახდების მაგალითები მოიცავს:

(ა) გადასახადების შეგროვებას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ერთი დონის მიერ სხვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს დონისათვის, რომელშიც არ შედის ის გადასახადები, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფოს მიერ საკუთარი სარგებლობისათვის გადასახადების გადანაწილების წესებიდან გამომდინარე;

(ბ) საჯარო ფინანსური ინსტიტუტის მოთხოვნამდე დეპოზიტების მიღება და განაღდება;

- (გ) ფონდები კლიენტებისათვის სატრასტო და საინვესტიციო ერთეულების მიერ; და
 - (დ) ქონების მესაკუთრის სახელზე მიღებული და გადახდილი საიჯარო ქირა.
34. 32(ბ) პუნქტში მოყვანილი ფულადი შემოსულობების და გადახდების მაგალითებია ავანსად გადახდა და ვალდებულებების დაფარვა:
- (ა) ინვესტიციის შეძენის ან გაყიდვის; და
 - (ბ) სხვა მოკლევადიანი სესხების, მაგალითად, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან უფრო ნაკლები.
35. ფულადი სახსრების ნაკადები წარმოქმნილი საჯარო ფინანსური ინსტიტუტის ყველა ქვემოთჩამოთვლილი საქმიანობიდან შეიძლება წარმოდგენილ იქნას ნეტო საფუძველზე:
- (ა) ფულადი შემოსულობები და გადახდები გადახდის ფიქსირებული ვადის მქონე დეპოზიტების აღიარებისა და გადახდისათვის;
 - (ბ) დეპოზიტების განთავსება ან მათი გამოტანა სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან; და
 - (გ) საავანსო გადახდები და სესხები, გაცემული მომხმარებლებისადმი და მათი დაფარვა ფულადი ფორმით.

ფულადი სახსრების ნაკადები უცხოურ ვალუტაში

36. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები უნდა აისახოს ერთეულის სამუშაო ვალუტაში, ფულადი სახსრების ნაკადების წარმოქმნის დღეს, სამუშაო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით.
37. უცხოური კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადები უნდა დაკონვერტირდეს სამუშაო ვალუტაში, სამუშაო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის გასაცვლელი სავალუტო კურსით, ფულადი ნაკადების თარიღებისთვის.
38. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრების ნაკადების წარდგენა ხორციელდება სსბასს 4 უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები-ს

შესაბამისად. მოცემული იძლევა შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას რეალურთან მიახლოებული გაცვლითი კურსი. მაგალითად, დროის გარკვეულ მონაკვეთში საშუალო შეწონილი გაცვლითი კურსი შეიძლება გამოყენებულ იქნას უცხოურ ვალუტაში ოპერაციების ასახვისათვის ან უცხოურ კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადების გადაანგარიშებისათვის ეროვნულ ვალუტაში. სსბასს 4 კრძალავს უცხოურ კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულის ფულადი სახსრების ნაკადების გადაანგარიშებას ანგარიშგების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით.

39. უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული არარეალიზებული მოგება და ზარალი არ წარმოადგენს ფულადი სახსრების ნაკადებს. თუმცა, გაცვლითი კურსის ცვლილების ზეგავლენა ხელმისაწვდომ ან მოსალოდნელ ფულად სახსრებზე და მის ეკვივალენტებზე უცხოურ ვალუტაში აისახება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში იმისათვის, რომ მოხდეს ფულადი სახსრების და მისი ეკვივალენტების შეჯერება საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და ბოლოსათვის. მოცემული თანხები აისახება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებისაგან განცალკევებულად და შეიცავს საკურსო სხვაობას, თუ ასეთს ჰქონდა ადგილი, იმ შემთხვევებში, როდესაც ფულადი სახსრების ნაკადები ანგარიშგებაში ნაჩვენებია გასაცვლელი სავალუტო კურსით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

პროცენტები და დივიდენდები ან მსგავსი განაწილების ფორმები

40. პროცენტების და დივიდენდების სახით მიღებული და გაცემული ფულადი სახსრების ნაკადები უნდა აისახოს განცალკევებით. მათი კლასიფიცირება უნდა მოხდეს უცვლელად, პერიოდიდან პერიოდამდე, როგორც საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობა.
41. საანგარიშგებო პერიოდში გადახდილი პროცენტების მთლიანი თანხა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აისახება იმისდა მიუხედავად, აღიარებულია ისინი როგორც ხარჯები მოგებისა და ზარალის

ანგარიშგებაში, თუ კაპიტალიზებულია ალტერნატიული მეთოდის შესაბამისად სსბასს 5-ში *სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები*.

42. გადახდილი და მიღებული პროცენტები და დივიდენდები საფინანსო დაწესებულებებისათვის, ჩვეულებრივ, კლასიფიცირდება, როგორც საჯარო ფინანსური ინსტიტუტის საოპერაციო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადები. თუმცა, სხვა ერთეულებისათვის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება ამგვარი ფულადი სახსრების ნაკადების კლასიფიცირების შესახებ. გადახდილი და მიღებული პროცენტები და დივიდენდები შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც საოპერაციო ფულადი სახსრების ნაკადები, რადგან ისინი მონაწილეობენ ნამეტის და დეფიციტის განსაზღვრაში. ამის საპირისპიროდ, გადახდილი და მიღებული პროცენტები და დივიდენდები ასევე შეიძლება კლასიფიცირდეს, შესაბამისად, როგორც ფინანსური და საინვესტიციო ფულადი სახსრების ნაკადები, რადგან ისინი წარმოადგენენ ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯებს ან ინვესტიციების უკუგებას.
43. გადახდილი დივიდენდები ან მსგავსი განაწილების ფორმები შეიძლება კლასიფიცირდეს ფულადი სახსრების ნაკადებად საფინანსო საქმიანობიდან, რადგან ისინი წარმოადგენს ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯებს. როგორც ალტერნატივა, გადახდილი დივიდენდები და მსგავსი განაწილების ფორმები შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების შემადგენელი ნაწილი, რათა დაეხმაროს ინფორმაციის მომხმარებლებს განსაზღვრონ ერთეულის შესაძლებლობა ეს გადახდები განახორციელოს საოპერაციო ფულადი სახსრების ნაკადებიდან.

წმინდა ნამეტზე გადასახადები

44. წმინდა ნამეტზე. გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადები ცალკე აისახება და კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები ნაკადები, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი კონკრეტულად განისაზღვრება საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობად.
45. საჯარო სექტორის ერთეულები. როგორც წესი, გათავისუფლებული არიან წმინდა ნამეტზე გადასახადებისაგან. მიუხედავად ამისა, საჯარო სექტორის

ზოგიერთი ერთეული შეიძლება ფუნქციონირებდეს საგადასახადო რეჟიმთან გათანაბრებულ პირობებში, სადაც გადასახადები დაკისრებულია იმავე სახით, როგორც ეს კერძო სექტორის საწარმოებში ხორციელდება.

46. წმინდა ნამეტზე გადასახადები წარმოიშობა იმ ოპერაციების შედეგად, რომლებიც წარმოშობს ფულადი სახსრების ნაკადებს და კლასიფიცირდება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობად ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში. საგადასახადო ხარჯი ადვილად მიეკუთვნება საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობას, მაგრამ შესაბამისი საგადასახადო ფულადი სახსრების ნაკადების მიკუთვნება, ხშირად, მიზანშეწონილი არ არის და შეიძლება წარმოიშვას განსხვავებულ პერიოდში, ვიდრე მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამიტომ გადახდილ გადასახადებს, როგორც წესი, მიაკუთვნებენ საოპერაციო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადებს. თუ მიზანშეწონილია საგადასახადო ფულადი სახსრების ნაკადების მიკუთვნება ცალკეული ოპერაციისათვის, რომელიც წარმოშობს ფულადი სახსრების ნაკადებს და თავის მხრივ მიეკუთვნება საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობას, ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ფულადი სახსრების ნაკადები შესაბამისად მიეკუთვნება საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობას. როდესაც საგადასახადო ფულადი სახსრების ნაკადები განაწილებულია ერთზე მეტი სახეობის საქმიანობაზე, განმარტებით შენიშვნებში ნაჩვენებია უნდა იყოს გადახდილი გადასახადების მთლიანი თანხა.

ინვესტიციები კონტროლირებულ ერთეულებში, მეკავშირე ერთეულებში და ერთობლივ საქმიანობაში

47. როდესაც მეკავშირე ან კონტროლირებულ ერთეულებში ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვისათვის გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი ან დანახარჯ-მეთოდი, ინვესტორი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში შემოიფარგლება ფულადი სახსრების ნაკადებით მასსა (ინვესტორსა) და ინვესტირებულ ერთეულს შორის, მაგალითად დივიდენდების ან მსგავსი განაწილებებისა და ავანსების მიმართ.
48. ერთეული, რომელიც კაპიტალ-მეთოდით წარადგენს თავის წილს მეკავშირე ერთეულში ან ერთობლივ საქმიანობაში, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ჩართავს მეკავშირე ერთეულში ან ერთობლივ საქმიანობაში განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებულ ფულადი

სახსრების ნაკადებს, აგრეთვე, თანხების განაწილებასა და სხვა გადახდებს, ან შემოსულობებს მასსა და მეკავშირე ერთეულს, ან ერთობლივ საქმიანობას შორის.

შემენები და გასვლები კონტროლირებული და სხვა საოპერაციო ერთეულების

49. ფულადი სახსრების მთლიანი ნაკადები, რომლებიც წარმოიშობა კონტროლირებულ ერთეულებსა და სხვა საოპერაციო ერთეულებზე კონტროლის აღებასთან ან დაკარგვასთან დაკავშირებით, ცალკე უნდა იქნეს წარდგენილი და კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც საინვესტიციო საქმიანობა.
50. ერთეულმა საანგარიშგებო პერიოდში კონტროლირებულ ერთეულებსა და სხვა საოპერაციო ერთეულებზე კონტროლის აღებასთან და დაკარგვასთან დაკავშირებით, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აგრეგირებულად უნდა ასახოს შემდეგი:
- (ა) გადახდილი ან მიღებული მთლიანი ანაზღაურება;
 - (ბ) ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით ანაზღაურებული ნაწილი;
 - (გ) ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ოდენობა კონტროლირებულ ერთეულში ან სხვა საოპერაციო ერთეულში, რომელზეც აიღო კონტროლი ან დაკარგა; და
 - (დ) იმ კონტროლირებული ერთეულის ან სხვა საოპერაციო ერთეულის ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან განსხვავებული აქტივები და ვალდებულებები, დაჯამებული ძირითადი კატეგორიების მიხედვით, რომელზეც აიღო კონტროლი ან დაკარგა.
- 50ა. საინვესტიციო ერთეულს, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 35-ში, *კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება*, არ ევალეება 50 (გ) ან 50 (დ) პუნქტების გამოყენება კონტროლირებულ ერთეულში ფლობილი ინვესტიციის მიმართ, რომლის შეფასება მოითხოვება სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით. მაკონტროლებელმა ერთეულმა, რომელიც არ წარმოადგენს საინვესტიციო ერთეულს, არ უნდა გამოიყენოს 50 (გ) ან 50 (დ) პუნქტები კონტროლირებულ საინვესტიციო ერთეულში

ფლობილი ინვესტიციის მიმართ, იმ მოცულობით, რომ ინვესტიცია შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით.

51. კონტროლირებულ ერთეულებზე ან სხვა საოპერაციო ერთეულებზე კონტროლის აღებასთან ან დაკარგვასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადების შედეგების განცალკევებით წარდგენა, ასევე განცალკევებით განმარტებული, შეძენილი და გაყიდული აქტივებისა და ვალდებულებების თანხები, მომხმარებელს ეხმარება, ამგვარი ფულადი სახსრების ნაკადები განასხვავოს საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების ნაკადებისაგან. არ შეიძლება კონტროლის დაკარგვით წარმოშობილი ფულადი სახსრების ნაკადების გამოქვითვა კონტროლის აღებით წარმოქმნილი ფულადი სახსრების ნაკადებისაგან.
52. აგრეგირებული ფულადი თანხა, გადახდილი ან მიღებული შეძენის ან გაყიდვის ანაზღაურების სახით, ასახულია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში როგორც მიღებული და გასხვისებული ნეტო ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.
- 52ა. კონტროლირებულ ერთეულში მფლობელობის წილის ისეთი ცვლილების შედეგად წარმოშობილი ფულადი სახსრების ნაკადები, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, კლასიფიცირებული უნდა იყოს საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულადი სახსრების ნაკადებად, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც კონტროლირებული ერთეული საინვესტიციო ერთეულს, როგორც ეს სსბასს 35-შია განმარტებული, საკუთრებაში იმყოფება და მისი შეფასება მოითხოვება სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით.
- 52ბ. კონტროლირებული ერთეულის მფლობელობის წილის ისეთი ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, როგორცაა შემდგომში მაკონტროლებელი ერთეულის მიერ კონტროლირებული ერთეულის წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვა ან გაყიდვა, აისახება როგორც საკუთარ კაპიტალზე შესრულებული ოპერაცია (იხ. სსბასს 35), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც კონტროლირებული ერთეული საინვესტიციო ერთეულის საკუთრებაში იმყოფება და მისი შეფასება მოითხოვება სამართლიანი ღირებულებით, ნამეტში ან დეფიციტში ასახვით. შესაბამისად, ამის შედეგად წარმოქმნილი ფულადი

სახსრების ნაკადები ისეთივე წესით კლასიფიცირდება, როგორც კონტროლირებული ერთეულის მესაკუთრეებთან შესრულებული სხვა ოპერაციები, რომლებიც აღწერილია 26-ე პუნქტში.

53. კონტროლირებული ერთეულის ან მოქმედი შეძენილი ან გასხვისებული ერთეულის აქტივები და ვალდებულებები გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა საჭიროებენ გამოქვეყნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კონტროლირებულმა ერთეულმა მანამდე აღიარა ეს აქტივები და ვალდებულებები. მაგალითად თუ საჯარო სექტორის ერთეული, რომელიც ამზადებს ანგარიშგებას საკასო მეთოდის მეშვეობით, შეძენილია სხვა საჯარო სექტორის ერთეულის მიერ, შეძენი ერთეული არ იქნება ვალდებული გამოაქვეყნოს შეძენილი ერთეულის აქტივები და ვალდებულებები (გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა), ვინაიდან იმ ერთეულს არ ექნება აღიარებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები.

არაფულადი ოპერაციები

54. ისეთი საინვესტიციო და საფინანსო ოპერაციები, რომლებიც არ საჭიროებს ფულად სახსრებს ან მათ ეკვივალენტებს, არ აისახება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში. ეს ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ნაწილში ისეთი ფორმით უნდა აისახოს, რომ იძლეოდეს ყველა შესაბამის ინფორმაციას ამ საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების შესახებ.
55. ხშირად, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობა პირდაპირ გავლენას არ ახდენს მიმდინარე ფულადი სახსრების ნაკადებზე, თუმცა მოქმედებს ერთეულის კაპიტალზე და აქტივების სტრუქტურაზე. არაფულადი ოპერაციების ამოღება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებიდან შეესაბამება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზანს, რადგან ამგვარი მუხლები არ გულისხმობს მიმდინარე პერიოდის ფულადი სახსრების ნაკადებს. არაფულადი ოპერაციების მაგალითებია:

(ა) აქტივების შეძენა შესაბამის ვალდებულებათა

უშუალო აღებით ან ფინანსური იჯარით; და

- (ბ) სასესხო ვალდებულებათა საკუთარ კაპიტალად კონვერტირება.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ელემენტები

56. ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ელემენტები და წარმოადგინოს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში მოცემული თანხების შეჯერება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ ეკვივალენტურ მუხლებთან.
57. იმის გამო, რომ მთელ მსოფლიოში გავრცელებულია ფულადი სახსრების მართვისა და საბანკო საქმის წარმოების სხვადასხვა სისტემა, სსბასს 1–თან შესაბამისობის მისაღწევად ერთეული აქვეყნებს პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემადგენლობას.
58. ნებისმიერი ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების კომპონენტების დადგენის პოლიტიკაში, მაგალითად როგორცაა ცვლილება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაში, რომლებიც ადრე განიხილებოდა ერთეულის საინვესტიციო პორტფელის ნაწილად, ამჯერად აისახება სსბასს 3–ის მიხედვით, *სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები.*

სხვა განმარტებითი შენიშვნები

59. ერთეულმა ხელმძღვანელობის კომენტართან ერთად ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა ასახოს მნიშვნელოვანი ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთები, რომლებიც ეკუთვნის ერთეულს, მაგრამ მათი გამოყენება არ შეუძლია ეკონომიკურ ერთეულს.
60. მრავალი გარემოება არსებობს, რის გამოც ერთეულის კუთვნილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ხელმიუწვდომელია გამოყენებისათვის ეკონომიკური ერთეულის მიერ. მაგალითად, როდესაც ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ნაშთები ეკუთვნის კონტროლირებულ ერთეულს, რომელიც საქმიანობას ეწევა ისეთ ქვეყანაში, სადაც სავალუტო გაცვლა კონტროლდება ან სხვა სახის საკანონმდებლო შეზღუდვები კრძალავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების საერთო

მიზნებისათვის გამოყენებას მაკონტროლებელი ერთეულის ან სხვა შვილობილი ერთეულების მიერ.

61. მომხმარებლებისათვის შეიძლება სასარგებლო იყოს დამატებითი ინფორმაცია ერთეულის ფინანსური მდგომარეობისა და ლიკვიდობის გასაცნობად. ამგვარი ინფორმაციის ასახვა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად მისასალმებელია და შეიძლება მოიცავდეს:
- (ა) გამოუყენებელ ნასესხებ თანხებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალი საოპერაციო საქმიანობისათვის და კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებების დასაფარავად ამ საშუალებათა გამოყენების ნებისმიერი შეზღუდვის მითითებით.
 - (ბ) ამოღებულია
 - (გ) შეზღუდული ფულადი ნაშთების მოცულობას და შინაარსს.
62. როდესაც საბიუჯეტო ასიგნებები მომზადებულია საკასო მეთოდის საფუძველზე, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება შეიძლება დაეხმაროს მომხმარებლებს ერთეულის აქტივობებს ან პროგრამებს და სახელმწიფოს საბიუჯეტო ინფორმაციას შორის არსებული კავშირების გასაგებად. სსბასს 1 შეიძლება გამოყენებულ იქნას მოკლე მიმოხილვისათვის, დაგეგმილი და ფაქტიური საბიუჯეტო თანხების შესადარებლად.

ძალაში შესვლის თარიღი

63. ერთეულმა უნდა მოახდინოს მოცემული სტანდარტის გამოყენება წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც იწყება 2001 წლის 1 ივლისიდან ან ამ თარიღის შემდეგ. უფრო ადრეული გამოყენება მისასალმებელია. თუ რომელიმე ერთეული იყენებს მოცემულ სტანდარტს პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2001 წლის 1 ივლისამდე, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.
- 63ა. 22-ე პუნქტი შეიცვალა *სსბასს-ების გაუმჯობესების (2010 წლის იანვარი)* გამოცემის შემდეგ. ერთეულმა უნდა მოახდინოს მოცემული ცვლილების ასახვა წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც იწყება 2011 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ. უფრო ადრეული გამოყენება მისასალმებელია. თუ რომელიმე ერთეული იყენებს მოცემულ

ცვლილებებს, რომელიც იწყება 2011 წლის 1 იანვრამდე, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი და გამოიყენოს სსბასს 17-ის 83ა პუნქტი.

63ბ. 25-ე პუნქტი შეიცვალა *სსბასს-ების გაუმჯობესების (2010 წლის ნოემბერი)* გამოცემის შემდეგ. ერთეულმა უნდა გამოიყენოს მოცემული ცვლილება წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც იწყება 2012 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ. უფრო ადრეული გამოყენება მისასაღმებელია. თუ რომელიმე ერთეული იყენებს ცვლილებას 2012 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.

63გ. 64-ე პუნქტი შეიცვალა *სსბასს 33-ის, დარიცხვის მეთოდის შესაბამისი საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) თავდაპირველი დანერგვა (2015 წლის იანვარი)* გამოცემის შემდგომ. ერთეულმა უნდა გამოიყენოს მოცემული ცვლილება წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც იწყება 2017 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ. უფრო ადრეული გამოყენება ნებადართულია. თუ რომელიმე ერთეული იყენებს სსბასს 33-ს პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2017 წლის 1 იანვრამდე, მან ადრეული პერიოდისთვის ასევე უნდა გამოიყენოს აღნიშნული ცვლილებებიც.

63დ. სსბასს 35-სა, *კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება* და სსბასს 37-ში, *ერთობლივი შეთანხმებები*, გამოცემული 2015 წლის იანვარში, შესწორებული იქნა მე-8, 30(ბ), 47-ე, 48-ე და 61(ბ) პუნქტები და დაემატა პუნქტები 50ა, 52ა და 52ბ. ერთეულმა უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებები, როდესაც იგი გამოიყენებს სსბასს 35-ს და სსბასს 37-ს.

63ე. მე-3, მე-4 და მე-16 პუნქტები ამოღებულია *სსბასს-ების გამოყენების (2016 წლის აპრილი)* გამოცემის გამო. ერთეული ვალდებულია გამოიყენოს ეს ცვლილებები ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც მოიცავს პერიოდებს, რომლებიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ. უფრო ადრეული გამოყენება მისასაღმებელია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.

64. როდესაც ერთეული ნერგავს დარიცხვის მეთოდის შესაბამის სსბასს-ებს, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 33-ში, *დარიცხვის მეთოდის შესაბამისი საჯარო სექტორის*

ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) თავდაპირველი დანერგვა ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ძალაში შესვლის თარიღის შესაბამისად, სტანდარტი გამოიყენება ერთეულის წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელიც მოიცავს პერიოდს დაწყებულს სსბასს-ების დანერგვიდან ან ამ თარიღის შემდგომ.

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 2-ის შემადგენელი ნაწილი.

ცვლილება სსბასს 2-ში, ბასსს-ს მიერ 2009 წელს გამოცემული ფასს-ების გადამუშავებიდან გამომდინარე

დს1. სსბასსს-მ განიხილა ცვლილებები ბასს 7-ში, რომლებიც ასახულია ფასს-ებში და გამოცემულია ბასსს-ის მიერ 2009 წლის აპრილში და ძირითადად დაეთანხმა ბასსს-ის შეხედულებებს ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით. სსბასსს-მ დაასკვნა, რომ არ არსებობდა რაიმე მიზეზი საჯარო სექტორის კუთხით ამ ცვლილების არმიღებისათვის.

სსბასს 2-ის გადახედვა 2016 წლის აპრილში სსბასსს-ს მიერ გამოცემული *სსბასს-ების გამოყენების* შედეგად

დს.2 სსბასსს-მ 2016 წლის აპრილში გამოსცა *სსბასს-ების გამოყენება*. ამ დოკუმენტით, ყველა სსბასს-ში იქნა ცვლილებები შეტანილი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

(ა) თითოეული სტანდარტის მოქმედების სფეროდან ამოღებულია სტანდარტული პუნქტები სსბასსს-ების „საჯარო სექტორის ერთეულებისთვის, გარდა სახელმწიფო კომერციული საწარმოებისა (სკს)“ გამოყენების შესახებ;

(ბ) ტერმინი „სკს“ შეცვლილია ტერმინით „საჯარო სექტორის კომერციული ერთეული“, საჭიროების შემთხვევაში; და

(გ) ცვლილებები იქნა შეტანილი *საჯარო სექტორის ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობის* მე-10 პუნქტში, იმ საჯარო სექტორის ერთეულების პოზიტიური აღწერით, რომლისთვისაც არის განკუთვნილი სსბასსს-ები.

ამ ცვლილებების მიზეზები განხილულია სსბასს 1-ის

დასკვნის საფუძველში.

საილუსტრაციო მაგალითები

მოცემული მაგალითები მოცემულია თანდართული სახით, მაგრამ არ წარმოადგენს სსზასს 2-ს ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ყველა ერთეულისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით (პუნქტი 27(ა))

საჯარო სექტორის ერთეული—კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ფულადი ერთეული ათასებში)

	20X2	20X1
(ფულადი ერთეული		
ათასებში)		
ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსულობები		
გადასახადები	X	X
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა	X	X
გრანტები	X	X
მიღებული საპროცენტო სარგებელი	X	X
სხვა შემოსულობა	X	X
გადასახდელები		
დანახარჯები თანამშრომლებზე	(X)	(X)
შენატანი საპენსიო ფონდში	(X)	(X)
მომწოდებლები	(X)	(X)
გადახდილი პროცენტი	(X)	(X)
სხვა გადასახდელები	(X)	(X)
წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	X	X
ფულადი სახსრების ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი აქტივების შექმნა	(X)	(X)
შემოსავლები ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან	X	X
ინვესტიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები	X	X

ფასიანი ქაღალდების შექმნა უცხოურ ვალუტაში	(X)	(X)
წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები	(X)	(X)
საინჟინტერიო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავლები სესხებიდან	X	X
სესხების დაფარვა	(X)	(X)
დივიდენდების განაწილება ბიუჯეტისთვის	(X)	(X)
წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	X	X
წმინდა ზრდა/შემცირება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში	X	X
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	X	X
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	X	X

შენიშვნები ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიმართ

(ა) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ნაშთებს და ინვესტიციებს ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ამსახველ შემდეგ თანხებს:

	20X2	20X1
ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშების ნაშთები	X	X
მოკლევადიანი ინვესტიციები	X	X
	<u>X</u>	<u>X</u>

ერთეულს გააჩნია გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი X თანხის მოცულობით, საიდანაც X თანხა უნდა გამოყენებულ იქნას ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

(ბ) ძირითადი აქტივები

გარკვეული დროის მანძილზე ეკონომიკურმა ერთეულმა შეიძინა ძირითადი აქტივები X თანხად, საიდანაც X მიღებულ იქნა მთავრობის მიერ გაცემული კაპიტალური გრანტი. X მოცულობის ფულადი სახსრების გადახდა მოხდა ძირითადი აქტივების შეძენის მიზნით.

(გ) საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრების ნაკადების შეჯერება ნამეტთან/(დეფიციტთან)

(ფულადი ერთეული ათასებში)	20X2	20X1
ნამეტი/(დეფიციტი)	X	X
არაფულადი მოძრაობა		
ცვეთა	X	X
ამორტიზაცია	X	X
საექვო ვალების რეზერვების ზრდა	X	X
კრედიტორული დავალიანების ზრდა	X	X
აღებული სესხების ზრდა	X	X
რეზერვების ზრდა თანამშრომლებთან დაკავშირებული ხარჯებისათვის	X	X
ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება)/ზარალი	(X)	(X)

ინვესტიციების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება)/ზარალი	(X)	(X)
სხვა მიმდინარე აქტივების ზრდა	(X)	(X)
ინვესტიციების ზრდა გადაფასების შედეგად	(X)	(X)
დებიტორული დავალიანების ზრდა	(X)	(X)
წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	X	X

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების არაპირდაპირი მეთოდი (პუნქტი 27(ბ))

საჯარო სექტორის ერთეული—კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 20X2 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ფულადი ერთეული ათასებში)

(ფულადი ერთეული ათასებში)	20X2	20X1
ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან შემოსულობები		
ნამეტი/(დეფიციტი)	X	X
არაფულადი მოძრაობა		
ცვეთა	X	X
ამორტიზაცია	X	X
საექვო ვალეების რეზერვების ზრდა	X	X
კრედიტორული დავალიანების ზრდა	X	X
აღებული სესხების ზრდა	X	X
რეზერვების ზრდა თანამშრომლებთან დაკავშირებული ხარჯებისათვის	X	X
ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება)/ზარალი	(X)	(X)
ინვესტიციების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება)/ზარალი	(X)	(X)
სხვა მიმდინარე აქტივების ზრდა	(X)	(X)
ინვესტიციების ზრდა გადაფასების შედეგად	(X)	(X)
დებიტორული დავალიანების ზრდა	(X)	(X)
წმინდა ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	X	X

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ა) *ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები*

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ნაშთებს და ინვესტიციებს ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ამსახველ შემდეგ თანხებს:

	20X2	20X1
ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშების ნაშთები	X	X

მოკლევადიანი ინვესტიციები

X	X
X	X

ერთეულს გააჩნია გამოყენებელი საკრედიტო ხაზი X თანხის მოცულობით, საიდანაც X თანხა უნდა გამოყენებულ იქნას ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

(ბ) ძირითადი აქტივები

გარკვეული დროის მანძილზე ეკონომიკურმა ერთეულმა შეიძინა ძირითადი აქტივები X თანხად, საიდანაც X მიღებულ იქნა მთავრობის მიერ გაცემული კაპიტალური გრანტით. X მოცულობის ფულადი სახსრების გადახდა მოხდა ძირითადი აქტივების შეძენის მიზნით.

ბასს 7-თან შედარება

სსბასს 2, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ძირითადად ეყრდნობა ბასს 7-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება და მოიცავს ბასს 7-ში მომხდარ ცვლილებას, რომელიც 2009 წლის აპრილში გამოცემული ფასს-ების გადამუშავების შედეგია. სსბასს 2-ს და ბასს 7-ს შორის ძირითადი განსხვავებები მდგომარეობს შემდეგში:

- სსბასს 2 იყენებს განსხვავებულ ტერმინოლოგიას გარკვეულ შემთხვევებში. ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითებია ტერმინების „შემოსავალი“, „ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება“ და „წმინდა აქტივები/კაპიტალი“ გამოყენება სსბასს 2-ში. ბასს 7-ის ეკვივალენტური ტერმინებია „შემოსულობა“, „მოგება ზარალის უწყისი“ და „საკუთარი კაპიტალი“.
- სსბასს 2 შეიცავს ბასს 7-სგან ტექნიკური ტერმინების განსხვავებულ ჩამონათვალს (პუნქტი 8).
- ბასს 7-ის ანალოგიურად, სსბასს 2 იძლევა საშუალებას გამოყენებულ იქნას საოპერაციო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადების არაპირდაპირი ან პირდაპირი წარდგენის მეთოდი. როდესაც პირდაპირი მეთოდი გამოყენებულია საოპერაციო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადების წარსადგენად, სსბასს 2 მიესაღმება ნამეტის ან დეფიციტის შეჯერებას საოპერაციო ფულად ნაკადებთან, რომელიც ასახულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების ნაწილში (პუნქტი 29).
- სსბასს 2-ის თანდართული საილუსტრაციო მაგალითებში არ მოიპვნება ფინანსური ინსტიტუტის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ილუსტრაცია.